

## სკოპინგის დასკვნა № 21

### საერთო მონაცემები:

საქმიანობის დასახელება: ფეროშენადნობის წარმოება;

საქმიანობის განმახორციელებელი და მისამართი: შპს „დაგი“, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეტრე იბერის ქუჩა N4, კორ.1, ბინა 64;

საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. თერჯოლა;

სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი: შპს „ზეციხელი 2010“;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 21.03.2022;

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „დაგის“ (ს/კ - 406038540) მიერ, წარმოდგენილი იქნა ქ. თერჯოლაში ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ფეროშენადნობის ქარხნის მშენებლობა დაგეგმილია ქ. თერჯოლაში, შპს „დაგის“ საკუთრებაში არსებულ (3819 მ<sup>2</sup> ფართობის) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.43.468; GPS კოორდინატები: X-329040.00; Y-4669420.00). საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის საწარმოო ობიექტები, მათ შორის ასფალტის საწარმოები, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგართან ერთად. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჩოლაბური საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 310 მეტრით, მდ. ყვირილა - 500 მეტრით, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტი (სოფ. მეორე სვირი) 1400 მეტრის მანძილზე მდებარეობს.

სკოპინგის ანგარიშში განხილულია პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტები. მათ შორის, მოცემულია უმოქმედობის, მტკვერგამწმენდი სისტემის, სადნობი ღუმელების და საწარმოს განთავსების ტერიტორიის ალტერნატივების ანალიზი. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა წარმოებული პროდუქციის საჭიროების და პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური თვალსაზრისით უპირატესობა მიენიჭა ელექტრორკალურ სადნობ ღუმელს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ფეროშენადნობების წარმოების ქარხნისათვის ტერიტორიის შერჩევას განიხილებოდა სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა წარმოდგენილი არ არის კონკრეტული მდებარეობები. საცხოვრებელი ზონიდან დაშორების მანძილისა და ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობების გათვალისწინებით საწარმოს განთავსების ადგილად შეირჩა - ქ. თერჯოლა, შპს „დაგის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 33.09.43.468). მნიშვნელოვანია, გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, თითოეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეების მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე პროექტის განხორციელება

დეტალურად იქნეს დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განუხორციელებლობის (უმოქმედობის) შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში იგეგმება ერთი 5.5 მგვტ სიმძლავრის ლუმელის მონტაჟი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 340 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საწარმოს ძირითადი მონაცემების შესახებ წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, ობიექტის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 25 ტონას დღე-ღამეში (24 სთ-ში) და 8500 ტონას წელიწადში. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფეროშენადნობების წარმოებისათვის გამოყენებული მასალების გათვალისწინებით, ქარხნის დღიური წარმადობა იქნება 12 ტ და წლიური წარმადობა იქნება 4380 ტ. მოცემული გარემოების გათვალისწინებით, საწარმოს საპროექტო წარმადობის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია კონკრეტული საპროექტო წარმადობის შესახებ, რაზე დაყრდნობითაც მოხდება გარემოზე, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერზე, მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის განსაზღვრა.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სილიკომანგანუმის მისაღებად საჭირო ნედლეულის მიახლოებითი რაოდენობების შესახებ. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმო წლის განმავლობაში მოიხმარს 21 250 მანგანუმის მადნის კონცენტრატს, 4250 ტ კოქსს, 850 ტ კირქვას და 4250 ტ კვარციტს. საწარმოს ძირითადი ნედლეულით, მანგანუმის მადნის კონცენტრატით მომარაგება დაგეგმილია, როგორც ჭიათურის საბადოდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. მნიშვნელოვანია, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს ასევე სხვა სახეობის ნედლეულით საწარმოს მომარაგების საკითხი. საწარმოში ასევე შესაძლებელი იქნება, ნედლეულად მანგანუმის შემცველი წიდას გამოყენებაც. (ასეთ შემთხვევაში 1 ტ პროდუქციაზე საჭირო იქნება 8-10 ტ წიდა). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის დღიურად დაგეგმილია 5 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება (4 ნედლეულის, ხოლო 1 პროდუქციის გადასაზიდად).

საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: საჩამომსხმელო უბანი; დასაფასოვებელი უბანი; სასაწყობო უბანი; სასწორი; სადნობი ლუმელი; ნედლეულის მიმღები ბუნკერები; ქვესადგური/ტრანსფორმატორი; შხეფმაცივარი; წიდის ჩასაყრელი ორმო; აირმტვერნარევის გამწმენდი - ორსაფეხურიანი (ციკლონი და სახელოებიანი ფილტრები) სისტემა; საყოფაცხოვრებო შენობები ; ნედლეულის საწყობი. საპროექტო ტერიტორიაზე ელექტრორკალური ტიპის სადნობი ლუმელის განთავსებისა და მიღებული პროდუქციის დასაწყობებისთვის გათვალისწინებულია ანგარის ტიპის შენობის მოწყობა.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად ფეროშენადნობის (ფეროსილიკომანგანუმი) წარმოება, მანგანუმის მადნის კონცენტრატის და საკაზმე კომპონენტების საწარმოში შეტანით იწყება. შემოსული ნედლეული დაიყრება ღია საწყობში. დამტვირთველის საშუალებით ნედლეული დაიყრება საკაზმე ბუნკერებში. შერეული კაზმი კონვერის საშუალებით ჩაიყრება ბუნკერში, რომელიც ამწეს მეშვეობით ლუმელის თავზე

განლაგებულ ბუნკერებში დაიცლება. ბუნკერიდან კაზმი მილის საშუალებით მოხვდება საპროექტო ღუმელში და დაიწყება დნობის პროცესი (1360 გრადუსზე). ღუმელებში ჩასატვირთი ნედლეულის მასალების ნატეხების ზომები 5-80 მმ-ის ფარგლებშია და სეპარირებულია წვრილი ფრაქციებისგან. ლითონი ელექტრო ამწეების მეშვეობით შესაბამის ციხვებში ჩამოსხმება, რომელიც გაცივებისა და აწონვის შემდეგ მზა პროდუქციის საწყობში გადაიტვირთება. თანმდევი წიდა არხებით (ლარებით) გაედინება შესაბამის ორმოში, საიდანაც ექსკავატორის და თვითმცლელი მანქანების მეშვეობით გადაიტვირთება წიდასაყარზე (საწარმოს ტერიტორიაზე).

ელექტრორკალური სადნობი ღუმელი წარმოადგენს 20 მმ ფურცლოვანი რკინისგან შეკრულ მრგვალ ქვაბისებურ კონსტრუქციას, რომელიც ამოგებულია ცეცხლგამძლე აგურით და სპეციალური პასტით. ღუმელს მოემსახურება ტრანსფორმატორი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მაღალი და დაბალი ძაბვის, შესაბამისი ამპერაჟის დენით. საწარმოში ღუმელის და ტრანსფორმატორის გაგრილებისთვის გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. საპროექტო ღუმელი აღჭურვილი იქნება მტვერაირნარევის დამჭერი სისტემით. გაწმენდილი აირმტვერნარევი გაიფრქვევა ატმოსფეროში 14 მეტრი სიმაღლისა და 0.8 მ. დიამეტრი მილის საშუალებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წყალი საწარმოში გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და სახანძრო მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია არტეზიული ჭის მოწყობა. საწარმოო მიზნებისთვის, დაგეგმილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. საწარმოს ტერიტორიაზე, სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის წყლის საჭირო რაოდენობად განსაზღვრულია - 1599მ<sup>3</sup>/წელ. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩაეშვება საწარმოს ტერიტორიაზე მოსაწყობ ბეტონის ორმოში. დაბინძურებული სანიაღვრე წყლები, რომელიც წარმოიქმნება მანგანუმის კონცენტრატის საწყობიდან, სამსაფეხურიანი სალექარის გავლის შემდგომ სხვა სანიაღვრე წყლებთან ერთად საწარმოო ტერიტორიის ჩრდილოეთით, საავტომობილო გზის პირას გამავალ სანიაღვრე არხში მოხვდება. **მნიშვნელოვანია, გზმ-ის ეტაპზე დაზუსტდეს ინფორმაცია საასენიზაციო ორმოსა და მასში მოხვედრილი სამეურნეო-ფეკალური წყლების შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. დაზუსტებას საჭიროებს ასევე ინფორმაცია სამსაფეხურიანი სალექარის და მისი ეფექტურობის შესახებ.**

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის. პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან, ხმაურის გავრცელებასთან, ნარჩენების (მათ შორის საწარმოო ნარჩენების) არასათანადო მართვასთან, ასევე ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებასთან.

სკოპინგის ანგარიშში, ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით, ხმაურის დონე უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე (1400) დასაშვებ ნორმაზე ნაკლებია. სააგენტოში არსებული ინფორმაციით საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს (280 მ) შპს "მეტიმპექსის" მიერ ასევე დაგეგმილია

ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს ხმაურის მოსალოდნელი დონეების გაანგარიშების დროს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფა მოხდება: ფეროშენადნობის ერთიანი გამწოვი მილიდან, ნედლეულის მიღება-დასაწყობების დროს, ნედლეულის მიმღები ბუნკერებიდან, ლითონის დნობისა და ჩამოსხმის დროს, წიდის მიმღებ ორმოში ჩასხმისას. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წინასწარი მონაცემებით მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები არ გადააჭარბებს კანონით გათვალისწინებულ ნორმებს. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიში შესრულებული იქნება საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისთვის. ამასთან, კუმულაციური ზემოქმედების ჭრილში გათვალისწინებული იქნება ობიექტის სიახლოვეს არსებული საწარმოო ობიექტი. კუმულაციური ზემოქმედების ჭრილში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს საპროექტო ტერიტორიიდან 280 მ-ში (33.09.43.599) შპს "მეტიმპექსის" მიერ დაგეგმილი ანალოგიური ტიპის საქმიანობა. ასევე საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ დაგეგმილი ცემენტისა და ფილერის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტი.

საწარმოს საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მიერ. სახიფათო ნარჩენები დასაწყობდება შესაბამის სასაწყობო სათავსოში და გადაეცემა აღნიშნული ტიპის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, მტვერდამჭერში დაჭერილი მასა (წლიურად 816 ტ) და ღუმელებში წარმოქმნილი წიდა (წლიურად 18 360 ტ) დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე, წიდის განთავსებისთვის გამოყოფილ ფართობზე და დაექვემდებარება ლაბორატორიულ კვლევას, ნარჩენების შესაბამისი (სახიფათო/არასახიფათო) კლასიფიკაციის მიზნით. მნიშვნელოვანია, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს ინფორმაცია წიდის დასაწყობებისთვის განკუთვნილი ფართობის/ადგილის და მისი საკმარისობის შესახებ. ასევე, ინფორმაცია შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის დაზუსტდეს ინფორმაცია წიდის კვლავწარმოებაში გამოყენების შესახებ.

სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ შეფასებული და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ნედლეულის-პროდუქციის სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, საქმიანობის განხორციელების ადგილის სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია აგრეთვე გამოქვეყნდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, სამინისტროს ორგანიზებით, საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 12

აპრილს 12 საათზე, სოფ. მეორე სვირის საზოგადოებრივი ცენტრის შენობაში, ხოლო 15 საათზე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „დაგის“, საკონსულტაციო ორგანიზაციის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ ასევე ქ. თერჯოლისა და სოფ. მეორე სვირის მაცხოვრებლები. საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის საკითხებს, ადამიანის ჯანმრთელობაზე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოსალოდნელ უარყოფით ზემოქმედებებს. ამასთან, სოფ. მეორე სვირში ჩატარებულ საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ პროექტი მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს მათ საცხოვრებელ გარემოზე და შესაბამისად საწარმოს მოწყობის წინააღმდეგები არიან. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს საკონსულტაციო კომპანიისა და სამინისტროს წარმომადგენლებმა, მათ შორის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საფუძვლიანი შენიშვნები გათვალისწინებული იქნება სკოპინგის დასკვნის მომზადების ეტაპზე. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვების ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილ იქნა სოფ. მეორე სვირის მაცხოვრებლის მიერ. წარმოდგენილი შენიშვნები ეხებოდა პროექტის განხორციელებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და კულტურებზე, მათ შორის მევენახეობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რეგულირებასა და მონიტორინგს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით წარმოდგენილ წერილში მკაფიოდ იქნა დაფიქსირებული მოქალაქის პოზიცია პროექტის განხორციელების წინააღმდეგობის შესახებ.

პროექტთან დაკავშირებით არსებული (როგორც საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული, ისე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წერილობით წარმოდგენილი) რელევანტური და საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები მხედველობაში იქნა მიღებული და აისახა სკოპინგის დასკვნაში (გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი).

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია. ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგად, მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება. სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედების სახეები.

**გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

#### 4. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტის საჭიროების დასაბუთება (სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;
- საწარმოო ობიექტის გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით. მათ შორის, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საპროექტო დანადგარები, ტექნოლოგიური მოწყობილობები და უბნები, დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- საწარმოს ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);
- საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, დასახლებამდე (სოფელი, ქალაქი), ასევე ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე მიმდებარედ მოქმედი-საპროექტო საწარმოო ობიექტების (საწარმოდან 500 მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით);
- საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- ინფორმაცია საპროექტო საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;

- საწარმოს დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უბნების დეტალური აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით. მათ შორის, პროექტით გათვალისწინებული ღუმელის შესახებ დეტალური ინფორმაცია, სიმძლავრის, ტიპისა და წარმადობის მითითებით;
- საწარმოს ტექნოლოგიური სქემის/ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით, ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე;
- ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ;
- ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულისა და დანამატების შესახებ. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია საწარმოს (სხვადასხვა სახეობის) ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის ინფორმაცია:
- ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის/გატანის პროცედურების სინშირის მითითებით;
- ინფორმაცია დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ. მაგ: დაბალი სიჩქარე, სამომრავო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში (ნედლეულისა და პროდუქციის შემოზიდვა/გაზიდვის) გადაადგილების აკრძალვა;
- ინფორმაცია ნედლეულის პროდუქციის გადაზიდვისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზ(ებ)ის შესახებ. მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზ(ებ)ის მოწყობის ან/და რეაბილიტაციის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული საპროექტო აირმტვერდამჭერი სისტემის შესახებ (ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით);
- ინფორმაცია გამწმენდი მოწყობილობების პარამეტრების დაცვის და გამართულად ექსპლუატაციის უზრუნველყოფის შესახებ (მათ შორის ფილტრების დროული გამოცვლის შესახებ);
- ინფორმაცია აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მიერ დაჭერილი მტვრის და მისი მართვის (მათ შორის, კვლავ წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობის) შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ. მათ შორის, ნარჩენი წიდების, მტვერდამჭერ სისტემაში წარმოქმნილი ნარჩენების და სხვა ნარჩენების შესახებ (ნარჩენის კოდები და დასახელება, რაოდენობა, განთავსება და შემდგომი მართვის საკითხები);
- **დეტალური ინფორმაცია** საწარმოო პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი წიდის დაზუსტებული რაოდენობის, წიდისთვის ლაბორატორიული კვლევის

ჩატარების, დროებითი დასაწყობების ადგილის, დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

- ამასთან, დაზუსტებული ინფორმაცია წიდის ორმო(ებ)ის და მისი ფუნქციური დატვირთვის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია ლითონისა და წიდის გაგრილების ტექნოლოგიის შესახებ (ბუნებრივად, სხვადასხვა საშუალებების ზეწოლით);
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი წიდის კვლავწარმოებაში გამოყენების შესახებ, ამასთან დაზუსტებული ინფორმაცია აღნიშნული მიზნით საწარმოს წიდით მომარაგების შესახებ;
- მეტალურგიული წიდის საწარმოო ციკლში შემდგომი გამოყენებისთვის-სათანადო ფრაქციის მიღების მიზნით მოსაწყობი ინფრასტრუქტურის (წიდის სამსხვრევი) შესახებ ინფორმაცია. ამასთან, აღნიშნული ქმედება (წიდის მსხვრევა), ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, წარმოადგენს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას, რომელიც არ არის განხილული სკოპინგის ანგარიშში და საჭიროებს დაზუსტებას;
- **საწარმოში დამუშავების მიზნით ნარჩენების (წიდის) მიღების შემთხვევაში მოცემული უნდა იყოს** ინფორმაცია ნარჩენის კოდის, დასახელებისა და რაოდენობის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად. ამასთანავე, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ნარჩენის აღდგენის ოპერაციის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი I - ის შესაბამისად;
- საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ობიექტის წყალმომარაგების მიზნით ჭაბურღილის გამოყენების შესახებ, ამასთან ჭაბურღილის გამოყენების შემთხვევაში გზმ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ინფორმაცია, შესაბამისი ლიცენზიის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესში წყლის გამოყენების, მათ შორის ღუმელის და ტრანსფორმატორის გაგრილებისთვის ბრუნვითი წყალმომარაგების შესახებ;
- სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია საასენიზაციო ორმოს შესახებ (გენ-გეგმაზე მითითებით);
- საწარმოს ტერიტორიის ტექნოლოგიურ უბნებზე, მათ შორის მანგანუმის კონცენტრატისა და წიდის დროებით დასაწყობების უბანზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებისა და მათი მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო სალექარის შესახებ (ტიპი, წარმადობა), გაწმენდის ეფექტურობის დასაბუთებით;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ. ამასთან, განხილული იქნეს საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;



- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;
- ინფორმაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, მათ შორის საპროექტო უზენებისა და ობიექტების მოწყობის და სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

**5. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები და გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მითითებით;
  - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. მოსალოდნელი ემისიების შემცირების ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ღონისძიებების დეტალური აღწერილობა;
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის შესახებ ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე (დაბინძურების რისკები) და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. მათ შორის, ინფორმაცია მცენარეულ საფარზე, ცხოველთა სამყაროზე და ჰაბიტატების მთლიანობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- მნიშვნელოვანია, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან/ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. **ამასთან, მნიშვნელოვანია მოცემული იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;**
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, განხილული იქნეს ზემოქმედების შეფასება სატრანსპორტო ნაკადებზე, შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხიც. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში, განისაზღვროს შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევია ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი შესაძლო ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);

- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

**6. საკითხები/ შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**

- დაზუსტებას საჭიროებს ადგილმდებარეობის ალტერნატივის ანალიზის შესახებ ინფორმაცია. გზშ-ის ეტაპზე განხილული უნდა იყოს საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივების ყველა შესაძლო ვარიანტი, თითოეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეების მითითებით, შერჩეული ალტერნატივის გარემოსდაცვითი დასაბუთებით;
- ამასთან მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე პროექტის განხორციელება დეტალურად იქნეს დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განუხორციელებლობის (უმოქმედობის) შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერა;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია საწარმოს საპროექტო წარმადობის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია კონკრეტული საპროექტო წარმადობის შესახებ, რაზე დაყრდნობითაც მოხდება გარემოზე, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერზე, მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის განსაზღვრა;
- დაზუსტებას საჭიროებს (ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეს საავტომობილო გზის პირას გამავალი) სანიაღვრე არხის საკუთრების და აღნიშნულ არხში საწარმოს სანიაღვრე წყლის ჩაშვების შეთანხმება არხის მესაკუთრესთან;
- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე წყლის საპროექტო ობიექტის მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხში ჩაშვების კონკრეტული ადგილის შესახებ ინფორმაცია. ასევე წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მიმდებარედ არსებული საწარმოები თუ ახორციელებენ აღნიშნულ სანიაღვრე არხში რაიმე სახის ჩაშვებას (წყლის ობიექტებზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით);
- მნიშვნელოვანია, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს წიდის სანაყარო ტერიტორიის შევსების დრო და წიდის დასაწყობებისთვის განკუთვნილი ფართობის/ადგილის საკმარისობის საკითხი. ასევე, ინფორმაცია დასაწყობებული ნარჩენების, მათ შორის წიდისა და მტვერდამჭერი ფილტრებიდან მიღებული მტვრის შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
- საწარმოო ტერიტორიის სიახლოვეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების არსებობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილ იქნეს საწარმოს ფუნქციონირების შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და იქ წარმოებული პროდუქციის ხარისხზე ზემოქმედების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- სამინისტროში არსებული ინფორმაციით, საპროექტო საწარმოს მიმდებარედ დაგეგმილია სხვადასხვა საწარმოო ობიექტების მოწყობა, მათ შორის საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ დაგეგმილია ცემენტისა და ფილერის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია, ხოლო საწარმოდან 280 მ დაშორებით (33.09.43.599) შპს "მეტიმპექსის" მიერ დაგეგმილია ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია. აღნიშნული პროექტების ერთ ლოკაციაზე განხორციელება დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან. საკითხის დეტალური ანალიზის მიზნით, გზშ-ის ეტაპზე უნდა მოხდეს კუმულაციური ეფექტის გამომწვევი ყველა წყაროს იდენტიფიცირება, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპისთვის, განისაზღვროს საპროექტო არეალში გათვალისწინებული საქმიანობებით მოსალოდნელი ჯამური/მასშტაბური ზემოქმედების მნიშვნელობა და წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებები, ეფექტურობის დასაბუთებით;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით დაბინძურებული სანიაღვრე წყლები წარმოიქმნება მანგანუმის კონცენტრატის საწყობიდან. სანიაღვრე წყლების დაბინძურების პრევენციის მიზნით, გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იქნეს დახურული საწყობის მოწყობის შესაძლებლობის საკითხი;
- დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ქვესადგურის-ტრანსფორმატორის შესახებ: განთავსების ადგილის (გენგეგმაზე მითითებით) და პირობების, ქვესადგურის ფიზიკური მახასიათებლების, მათ შორის საპროექტო ძაბვის და შემადგენელი ელემენტების მითითებით;
- დასაბუთებული ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების ყველა შესაძლო საკითხზე. მაგალითად გზშ-ის ფაზაზე საჭიროა დასაბუთდეს სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია - (გვ. 40) „საწარმოში არსებული დანადგარების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ინტენსივობის ფონური (ფაქტიური) დონეები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ დონეებს (10 მკვტ/სმ2).“ დასაზუსტებელია რა სახის კონკრეტული ღონისძიებების გატარების შედეგად დადგინდა ზემოთ აღნიშნული. გზშ-ის ანგარიშში საჭიროა დასაბუთდეს ყველა მსგავსი ტიპის ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ა.შ ზემოქმედების საკითხთან მიმართებით;
- დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ მათ შორის, ინფორმაცია: გაბატონებული ქარების მიმართულებისა და მოსახლეობის მხარეს გავრცელების შესახებ; უწყვეტი მონიტორინგის საკითხების შესახებ; ყველა სახის შემარბილებელი ღონისძიებისა და აირმტვერდამჭერი სისტემების ეფექტურობის შესახებ;
- სოფ. მეორე სვირის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პროექტის შესახებ საჯარო განხილვაზე (ასევე წერილობითი სახით) დაფიქსირებული შენიშვნების/მოსაზრებების, მათ შორის წინააღმდეგობრივი პოზიციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს - პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია;

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერით: რელიეფი (გეომორფოლოგია), გეოლოგიური აგებულება, სეისმური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები; გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება: ზემოქმედების შეფასება გრუნტის წყლებზე; საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით.
- გზმ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სკოპინგის დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით.
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ (ერთიანი ცხრილის სახით).

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „დაგის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. თერჯოლაში, ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.